

„ბაკურიანის N8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფციის“
საჯარო განხილვის ოქმი

შეხვედრის დეტალები

შეხვედრის ადგილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №5

შეხვედრის თარიღი

31/07/2023 წ.

შეხვედრის დაწყების დრო

13:00 სთ.

შეხვედრის დასრულების დრო

15:00სთ.

ლონისძიების დამგეგმავი ორგანო

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტო

დამგეგმავი ორგანოს წარმომადგენლები

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე
ზურაბ წიკლაური.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს ურბანული
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სოფიკო
მაისურაძე.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს ურბანული
დეპარტამენტის სპეციალისტი თეკლე
საკანდელიძე.

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს იურიდიული,
ნორმატიული და აკადემიური პროგრამების
დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჭუმბურიძე

პროექტის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით
პრეზენტაციას უძღვებოდა:

საპროექტო ჯგუფის შპს „არტსტუდიო პროექტი“-
არქიტექტორი- ანა მამულაშვილი

საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები:

- სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე - **ზურაბ წიკლაური**;
- სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების ურბანული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - **სოფიკო მაისურაძე**;
- სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების ურბანული დეპარტამენტის სპეციალისტი- **თეკლე საკანდელიძე**;
- სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების იურიდიული, ნორმატიული და აკადემიური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი- **ირაკლი ჭუმბურიძე**;
- სსიპ - ბაკურიანის განვითარების სააგენტოს უფროსი- **ეკატერინე ორჯონიკიძე**;
- სსიპ - ბაკურიანის განვითარების სააგენტოს მთავარი არქიტექტორი - **ოთარ ხვედელიძე**.

შემსრულებელი კომპანია - შპს „არტსტუდიო პროექტი“-ს წარმომადგენელი - ანა მამულაშვილი.

განხილვას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები.

აღნიშნული ცვლილების პროექტის საჯარო განხილვის საფუძველი:

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლები.

განხილვის მიზანი:

- ბაკურიანის N8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დოკუმენტის საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა;
- საზოგადოების/დაინტერესებული მხარეების მხრიდან, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა;
- შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, საზოგადოების წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვა;
- შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მხედველობაში მიღება.

საჯარო განხილვის მსვლელობა

საჯარო განხილვა დაიწყო დათქმულ დროზე 20 წუთით გვიან (13:20 სთ). გახსნითი სიტყვა წარმოთქვა: სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ბატონმა ზურაბ წიკლაურმა. მან დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო საჯარო განხილვის მიზნები და დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა განხილვაში აქტიური ჩართულობისკენ.

გახსნითი სიტყვის შემდეგ ისაუბრა შემსრულებელი კომპანიის - შპს „არტსტუდიო პროექტი“-ს წარმომადგენელმა: ანა მამულაშვილმა. მან საზოგადოებას დეტალურად გააცნო ბაკურიანის N8 საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქთმშენებლობითი გეგმის შემუშავებისათვის საქართველოს მთავრობის "ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე" 2019 წლის 2 დეკემბრის № 591 დადგენილებით განსაზღვრული პირობები და აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული განაშენიანების გეგმის კონცეფციის პროექტი.

განხილვის მსვლელობისას სიტყვით გამოვიდა სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს უფროსი ქალბატონი ეკატერინე ორჯონიკიძე, რომელმაც თავის სიტყვაში ისაუბრა: დაბა ბაკურიანში წყლის არასაკმარის დებეტიტა და გაუმართავი საკანალიზაციო სისტემით გამოწვეულ პრობლემებზე,

ასევე მან აღნიშნა, რომ ბაკურიანის განვითარებისათვის საჭიროა მშენებლობის წარმოება მაგრამ ამ ყველაფრის სწორად მართვისთვის სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტომ გაამკაცრა შიდა რეგულაციები, როგორცაა: მსგავსი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტის დამუშავების საწყის ეტაპზევე წარმოდგენილი იყოს წყლის საკმარისი დებეტი უზრუნველყოფაზე შესაბამისი პროვადერის თანხმობა. მისასალმებელია მშენებლობა და განვითარება, მაგრამ კომუნიკაციების შესაბამისი პროვადერების თანხმობების გარეშე შიდა რეგულაციები შეაფერხებს პროექტის განვითარებას. აღნიშნული რეგულაციების დაწესება გამოიწვია ბაკურიანში დღეს არსებულმა მდგომარეობამ, რაც აუცილებლად არის მოსაწესრიგებელი.

კითხვა-პასუხის რეჟიმი

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ კონცეფციის დოკუმენტის საჯარო გახილვა გადავიდა ე.წ. კითხვა-პასუხის რეჟიმზე, აღნიშნულის დროს გამოითქვა სხვადასხვა აზრი საპროექტო არეალში არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებზე, საზოგადოებრივ სივრცეებზე და კანონით დადგენილ ტექნიკურ საკითხებზე. კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩართულები იყვნენ როგორც მესაკუთრეები და სამუშაო ჯგუფის, ასევე სააგენტოების წარმომადგენლები.

დამსწრე საზოგადოებას ეცნობა, რომ კითხვების, შენიშვნების, მოსაზრებებისა და ინიციატივების წარმოდგენის შესაძლებლობა აქვს, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

შეჯამება

საბოლოო სახით შეიძლება ითქვას, რომ დამსწრე საზოგადოებამ აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი კონცეფციის პროექტი.

შეასრულა

თეკლე საკანდელიძე

ოქმის სისწორეს ვადასტურებ

სსიპ-სივრცითი და ქალაქმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე
ბატონი ზურაბ წიკალაური

